

გ. მარეიკოს ბრინჯაო

31 ივლისს მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე გაიხსნა სსრ კავშირის ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში. ასპარეზობა 9 აგვისტომდე გასტანს და, გარდა ცენტრალური იპოდრომისა, გაიმართება მოსკოვის საგარეუბნო ბაზა პლანერნაიაშიც. პროგრამის მთავარ სახეობებში გამარჯვებულები გამოვლინდებიან: 1 აგვისტოს — დაბრკოლებათა გადალახვაში „სსრ კავშირის თასზე", 4 აგვისტოს — სამჭიდში, 5 აგვისტოს — ცხენის გახედნაში „დიდ პრიზზე", შეჯიბრების დასკვნით დღეს, 9 აგვისტოს — კონკურში „უმაღლეს კლასში".

მონაწილეთა შორის ბევრი სახელგანთქმული სპორტსმენია, მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონები ცხენის გახედნაში მოსკოველი ს. ფილატოვი (რომის თამაშებში გამარჯვებული) და ლენინგრადელი ი. კიზიმოვი (მეხიკოს თამაშების ჩემპიონი), აგრეთვე, მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი ცხენის გახედნაში, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოველი ე. პეტუშკოვა.

სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს საქართველოს ცხენოსნებმა, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს დაბრკოლებათა გადალახვაში „სსრ კავშირის თასზე". მათგან გამოსარჩევია ცხაკაიელი კოლმეურნე მხედარი გ. მარეიკო, რომელმაც ორი ცდის ჯამში 8 საჯარიმო ქულა მიიღო და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ოქროს მედლის ბედი გადაწყვიტა დამატებითმა ცდამ, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ 4-4 საჯარიმო ქულის მქონე ი. ზიაბრევი (უკრაინა) და მოსკოველი ვ. მატვეევი. გაიმარჯვა ზიაბრევმა. ვერცხლი წილად ხვდა მატვეევს.

შეჯიბრება გრძელდება.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გ. მარეიკო დაბრკოლების გადალახვისას.

თ. გაჩეჩილაძის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 151 (4145)

1970 წ. 4 აგვისტო, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ვ. სანეევი — 17,25 მ

ევროპის თასის გათამაშებაში (ციურიხი) სსრ კავშირის მძლეოსან ვაჟთა ნაკრებ გუნდს ამ საპატიო პრიზის მფლობელის ტიტული დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, რუმინეთისა და შვეიცარიის კოლექტივებთან ბრძოლაში უნდა დაეცვა და ფინალის საგზური მოეპოვებინა. მაგრამ ფავორიტებს პირველივე დღეს გაუჭირდათ: საფრანგეთის მძლეოსნებმა 52 ქულა მოაგროვეს, სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა კი 51. მეორე დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა მდგომარეობა გამოასწორეს. სსრ კავშირისა და საფრანგეთის კოლექტივებს საბოლოოდ 97-97 ქულა აღმოაჩნდათ. ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება ორივე კოლექტივმა მიიღო.

ასპარეზობის მონაწილეებმა ბევრი კარგი შედეგი მოიპოვეს. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონის, მსოფლიოს რეკორდსმენის, სოხუმელი სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სანეევის წარმატება — 17,25 მ. ეს წლეულს საუკეთესო შედეგია მსოფლიოში.

სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვება ფრანგებს დარჩათ. სიგრძეზე ხტომაში ი. ტერ-ოვანესიანხმა ჟ. პანისთან, რომელიც 819 სმ-ზე გადახტა, 57 სანტიმეტრი წააგო, ხოლო ჟ. ელიოტმა (216 სმ) 3 სანტიმეტრი მოუგო ვ. გავრილოვს.

საინტერესო იყო ესტაფეტა 4×100 მეტრზე. სსრ კავშირის ნაკრებმა (39,7) 0,1 წამით აჯობა საფრანგეთის კვარტეტს. უროს ტყორცნაში 70-მეტრიანი ზღვარი მხოლოდ მსოფლიო რეკორდსმენმა ა. ბონდარჩუკმა გადალახა. საუკეთესო ცდაზე მან 73,10 მ აჩვენა. 100 მეტრზე რბენაში იმარჯვა ევროპის ჩემპიონმა ვ. ბორზოვმა — 10,3.

110 მეტრზე თარჯრბენში დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ჰემერიმ (დიდი ბრიტანეთი) და გ. დრიუმ (საფრანგეთი). ჰემერიმ თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი (13,4) დაამყარა, მაგრამ მაინც II ადგილს დასჯერდა. მას 0,1 წამით აჯობა დრიუმ, რომელიც, ამავე დროს, საფრანგეთის რეკორდსმენიც გახდა. მესამე იყო ვ. ბალიხინი — 13,7. ეს სსრ კავშირის რეკორდის გამეორებაა.

ჭოკით ხტომაში დაბალი შედეგებია ნაჩვენები. გ. ბლიზნეცოვი 5 მეტრზე გადახტა და გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ფრანგი ტრაკანელი 490 სმ სიმაღლის დაძლევით დაკმაყოფილდა.

ჰელსინკში ასპარეზობდნენ ფინეთის, გდრ-ის, ბელგიის, პოლონეთის, შვეციისა და ნორვეგიის, სარაევოში — გფრ-ის, უნგრეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის ვაჟთა გუნდები.

ქალებიც სამ ნახევარფინალურ ჯგუფად დაიყვნენ. ბუქარესტში მასპინძელთა გარდა ფინალის 2 საგზურისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, შვეიცარიისა და ავსტრიის კოლექტივები. ბერლინში გამოდიოდნენ გდრ-ის, საფრანგეთის, დანიის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიისა და ნორვეგიის, ხოლო კერფორდში — გფრ-ის, საბერძნეთის, ბელგიის, იუგოსლავიის, ბულგარეთის; შვეციის, უნგრეთის კოლექტივები.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. სანეევი ასპარეზობისას.

ო. გელაშვილის ფოტო.

კ. დარასელია — ჩემპიონი

კაუნასი, 2 აგვისტო. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალი პრიზი საბჭოთა არმიის ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილზე არიან ლოკომოტიველები, III — დინამოელები.

შეჯიბრების ბოლო დღეს სპორტსმენები წყვილ სამიზნეებზე სროლაში ასპარეზობდნენ. ადგილიდან სროლაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა განთიადელმა კ. დარასელიამ (სოხუმი) — 34 ქულა 50-დან. მრგვალ სტენდზე ბადალი არ ჰყავდა არმიელ ვ. სეროვს (ალმა-ათა) — 45 ქულა 50-დან.

ს უ რ ა თ ზ ე: კ. დარასელია.

ო. გელაშვილის ფოტო.

სოხუმელი მძლეოსნის შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში

დღეს ნომერში:

რ. ფიშერი ლიდერობას არ თმობს

მ. ხურცილავას გადამწყვეტი გოლი

ნ. ალექსანდრია ემზადება...

კვლავ ოქრო

ლვოვში მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატში გუშინ თბილისელმა თინათინ ლეკვეიშვილმა ოქროს მედალი მოიხვეჭა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში.

ბაგსვერდის ტბის ოქრო

კოპენჰაგენის მახლობლად, ბაგსვერდის ტბაზე, დამთავრდა VIII მსოფლიო ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში. სსრ კავშირის სპორტსმენები ამ ასპარეზობაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ: 11 მედალი მოიპოვეს (მათ შორის, 8 ოქროსი).

ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ლ. პინაევამ დისტანციის გავლას 2 წუთი და 03,71 წამი მოანდომა. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ა. ტიშჩენკომ მოიგო ამავე კლასის ნავით ამავე დისტანციაზე რბოლა — 1.47,19. ორადგილიანი ბაიდარებით 10 კილომეტრზე ასპარეზობაში იმარჯვეს ქ. კოსტენკომ და ვ. კონონოვმა — 41.09,43. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ვ. ცარიოვმა ერთადგილიანი ბაიდარით 10 კილომეტრზე ასპარეზობაში უმაღლესი ტიტული შეინარჩუნა, რისთვისაც 44 წუთი და 21,95 წამი დასჭირდა.

პირველ დღეს ოქროს მეხუთე მედალს საბჭოთა სპორტსმენები ოთხადგილიანი ბაიდარით შეჯიბრებაში დაეუფლნენ. ესენი არიან: ვ. დიდენკო, ი. ფილატოვი, ვ. მოროზოვი და ი. სტეცენკო, რომლებმაც კილომეტრის გავლას 3 წუთი და 6,37 წამი მოანდომეს.

მეორე დღეს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონმა ა. შაპარენკომ ერთადგილიანი ბაიდარით 1 კმ ყველაზე სწრაფად (3.41,10) დაფარა. ლ. ბეზრუკოვას, თ. შიმანსკაიას, ნ. ბოიკოსა და ნ. ვაკულას გამარჯვებულმა კვარტეტმა 500 მეტრის გავლას 1.42,52 მოანდომა, შემდეგ ერთადგილიანი ბაიდარებით 4×500 მეტრზე ესტაფეტაში ნ. ხოხოლმა, ტიშჩენკომ, ა. კობრისევმა და ა. სუდამევმა მოიხვეჭეს ოქრო — 7.15,96.

ევროპის თასი

ბერლინი, 2 აგვისტო.

[ჩვენი ინფორმაცია]

ბერლინი, 2 აგვისტო. ევროპის თასზე აქ გამართულ მძლეოსან ქალთა გუნდური შეჯიბრების ნახევარფინალურ ტურნირში 20 წლის რ. მაისნერმა (გდრ) 100 მ 11 წამში გაირბინა, რაც ევროპის ძველ რეკორდს 0,1 წამით სჯობს და მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

მინსკი, 2 აგვისტო. წყალქვეშ ცურვის ოსტატთა დღეს აქ დამთავრებული შეჯიბრება სსრ კავშირის ჩემპიონატიც იყო და სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამის ნაწილიც. ბოლო დღეს მოასპარეზეებმა კვლავ დაამყარეს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყაზახეთის წარმომადგენელმა ნადეჟდა ტურუკალომ, რომელმაც მსოფლიო რეკორდების ცხრილში ოთხი შესწორება შეიტანა: 25 მეტრზე ფარფლებით 10 წამში ჩაყვინთა, 100 მ ფარფლებით 54,4 წამში გაცურა, აკვალანგით 100 მ — 40,4 წამში, ხოლო 400 მ — 4 წუთსა და 12,6 წამში.

ორ-ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს მოსკოველებმა ს. ტარასოვმა და ა. კრიუკოვმა: პირველმა აკვალანგით ცურვაში: 400 მეტრზე—3.35,3 და 800 მეტრზე — 7.28,8; მეორემ — ფარფლებით ცურვაში: 200 მეტრზე — 1.41,7 და 400 მეტრზე — 3.44,0.

უკრაინელმა სპორტსმენებმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს 8×100 მეტრზე ფარფლებით ესტაფეტაში— 2.41,4.

ბუქარესტი, 3 აგვისტო. ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალურ ტურნირში ლენინგრადელმა თ. დანილოვამ ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა — 62,54 მ.

საგურამოს სპორტულ ბანაკში

თანამედროვე ტანვარჯიშში სპორტული მწვერვალების დაპყრობა წარმოუდგენელია სისტემატური, სრულწლიური წვრთნის გარეშე. იყო დრო, როცა მოზარდთა სრულწლიური წვრთნის ფორმების დადგენა პრობლემას წარმოადგენდა, მაგრამ აი, საქართველოს განათლების სამინისტროს მეთოდურმა კაბინეტმა (გამგე გ. მერკვილაძე), თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დირექციამ (დირექტორი მ. იმნაძე) და აღნიშნული სკოლის მასწავლებელმა გ. კაკაურიძემ პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დახმარებით საამისო საშუალება გამონახეს.

გადაწყდა თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის პერსპექტიული მოსწავლეებისთვის პროფკავშირთა საგურამოს მოეწყოთ პიონერთა ბანაკის ტიპის სპორტული შეკრება ზაფხულის პერიოდში, სადაც პიონერთა ბანაკის დებულებით გათვალისწინებულ რეჟიმში ჩართული იქნებოდა საწვრთნელი მეცადინეობები. ამ გადაწყვეტილების განხორციელებისთვის თავდაპირველად ბევრი ორგანიზაციული ხასიათის სიძნელის გადალახვა გახდა საჭირო. შემდგომში მუშაობის ეს ფორმა მტკიცედ დანერგეს როგორც მოძმე რესპუბლიკებმა, ისე სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმაც. მართლაც, ეს გზა საუცხოოა არა მარტო მოსწავლეთა სრულწლიური წვრთნის თვალსაზრისით. იგი შესაძლებლობას იძლევა სისტემატური მეთვალყურეობა გაწიოს მოსწავლის ქცევას კოლექტივში, უფრო მიზანშეწონილად წარიმართოს მისი ხასიათის ჩამოყალიბება.

აღნიშნული ტიპის სპორტულ ბანაკებს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა 1951 წლიდან სისტემატურად აწყობს ჩვენი რესპუბლიკის საკურორტო ადგილებში. ექვსი წლის წინათ კი გადაწყდა ბანაკისთვის გამოყოფილიყო ერთი მუდმივი ადგილი, სადაც წლიდან წლამდე მესაძლებელი გახდებოდა სპორტბაზის მოწყობა. ამ მიზნით საგურამოს სკოლა-ინტერნატის ტერიტორია შეარჩიეს.

დაარსებიდან დღემდე ბანაკმა კარგი საქმე გააკეთა. აქ აღზრდილმა ბევრმა ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ სახელი გაუთქვა ჩვენს რესპუბლიკას. მათ უკვე კარგად იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ზემოხსენებულ ბანაკში აიდგეს ფეხი ნ. მაკალათიამ, მ. ბოგუსმა, ი. ნინოშვილმა, ა. ჯანუყაშვილმა, მ. ნინოშვილმა, მ. მონიავამ, ა. ნოზაძემ, ნ. დრონოვამ, რ. ბერიკაშვილმა და სხვ.

ბანაკის მწვრთნელი მასწავლებლები აჩუქბადაც მოხდომებით შრომობენ. მათ დროით მოაწყვეს მაღალი ფოლადის დგამები, რომლებზეც დამაგრებულია სხვადასხვა სახის სპორტული იარაღი — რგოლები, ლატნები, ბაგირები, დამზღვევი სარტყელი. ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის ბაზიდან გადმოტანილია თანამედროვე ტიპის ყველა საჭირო ინვენტარი. ასე რომ, აქ, ბუნების წიაღში, ახალგაზრდების გაკაჟებისა და ნაყოფიერი წვრთნისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

ბანაკში კვების სადღეღამისო ნორმა ერთნახევარჯერ გაზრდილია ჩვეულებრივ პიონერთა ბანაკებთან შედარებით.

წლეულს აქ ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა: მოეწყო ექსკურსიები ზედაზენში, დავით გურამიშვილის ნასახლარში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში (აქ ჩატარდა შეჯიბრება აკრობატიკაში), ლაშქრობა მდინარე არაგვზე... ბანაკში ტარდება კონკურსი ბუნების კუთხის საუკეთესოდ მოწყობისთვის და ა. შ.

ყოველი კვირის ბოლოს გარდაშავალი მედლებით ჯილდოვდებიან რაზმები, რომლებიც გარკვეულ პერიოდში სანიმუშო დისციპლინას და ორგანიზებულობას გამოიჩენენ დღის რეჟიმის დაცვაში. კვირის მანძილზე ინდივიდუალური სასწავლო-საწვრთნელი გეგმის კარგად შესრულებისთვის და სანიმუშო დისციპლინისთვის ნორჩი სპორტსმენები ჯილდოვდებიან ქართველი ტანმოვარჯიშის ნ. მაკალათიას გარდამავალი მედლით, რომელიც მან თავისი მრავალრიცხოვანი ნადავლიდან გადასცა აღმზრდელ სკოლას.

ბანაკში დიდი ყურადღება ეთმობა შრომით აღზრდას. სკოლა-ინტერნატის მთელი ტერიტორია, რომელიც 4 ათასეულ ძირ ხეს ითვლის, მოსავლელად გახაწილებულია რაზმებს შორის.

ნორჩი ტანმოვარჯიშეები კმაყოფილი დარჩებიან წლეულს საგურამოს ბანაკში გატარებული დღეებით, მაგრამ მომავალი წელი კიდევ უფრო საინტერესო იქნება. 1971 წლის მაისისთვის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს საგურამოში ააშენოს ტანვარჯიშული დარბაზი, სადაც შესაძლებელი გახდება როგორც ნორჩ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები კოლექტივის, ისე საქართველოს უფროს ტანმოვარჯიშეთა გუნდების საწვრთნელი შეკრების გამართვა. ამ კარგ საქმეს შეფობას უწევენ მცხეთის პარტიის რაიკომი და განათლების განყოფილება.

ე. ხახუბია,
სპორტის ოსტატი.



სურათზე: თბილისის 61-ე საშუალო სკოლის ნორჩი ტანმოვარჯიშეები საგურამოს სპორტულ ბანაკში.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

ჩემპიონი დამარცხდა

კიევი. ადგილობრივმა არმიელებმა უმასპინძლეს სსრ კავშირის ჩემპიონს — ცსკა-ს, რომელიც ბოლო მატჩებს შესუსტებული შემადგენლობით ატარებს. შეხვედრის შედეგს სტუმრებისთვის არაკითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მასპინძლები კი გამარჯვების შემთხვევაში VIII ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებდნენ. უკრაინელმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს (80:70) და ახლა მათ იმდენივე ქულა დაუგროვდათ, რამდენიც რიგის არმიელებს, მაგრამ ჯერჯერობით ჩამორჩებიან რიგელებს, ვინაიდან ურთიერთშეხვედრების უარესი ბალანსი აქვთ. თუ კიეველი არმიელები დარჩენილი ორი ბრძოლიდან ერთს მოიგებენ, რიგელ თანაკლუბელებს გაუსწრებენ.

ცსკა-მ დაამთავრა ჩემპიონატი. მან ყველაზე მეტი მატჩი მოიგო, ყველაზე ცოტა წააგო. ჩემპიონს აქვს საუკეთესო მაჩვენებელი თავდასხმაში (2741) და მეორე — დაცვაში (2311).

ჭეშმარიტ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი). გაიმარჯვეს დინამოელებმა 96:94 (45:45).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	33	29	4	2741—2311	29
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	33	25	8	2510—2204	25
„სტროიტელი“ (კიევი)	32	21	11	2604—2391	21
„შალგოისი“ (კაუნასი)	33	21	12	2566—2494	21
„დინამო“ (მოსკოვი)	33	21	12	2712—2530	21
„კალევი“ (ტარტუ)	33	18	15	2696—2559	18
„დინამო“ (თბილისი)	33	16	17	2611—2696	16
ასკ (რიგა)	33	11	22	2469—2642	11
ასკ (კიევი)	31	11	20	2230—2304	11
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	32	8	24	2313—2588	8
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	33	8	25	2463—2727	8
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	33	7	26	2448—2771	7

პირველი ოსტატი

იაროსლავლი, 1 აგვისტო (დეპეშით). დამთავრდა იუნიორთა საკავშირო ტურნირი მშვილდოსნობაში. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს მწვრთნელ შ. ჯაშიაშვილის აღზრდილებმა — ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტებმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ქ. ლოსაბერიძემ და ე. არველაძემ, რომლებმაც საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს.

ჭაბუკთა ასპარეზობაში არველაძემ ოთხი დისტანციის ჯამში 1048 ქულა მოაგროვა, რაც საქართველოს ძველ რეკორდს ბევრად აღემატება. არველაძე პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც მშვილდოსნობაში სპორტის ოსტატობა მოიპოვა.

ქალთა შორის ამავე ვარჯიშში რესპუბლიკური რეკორდი გაუუმჯობესა ლოსაბერიძემ — 1016 ქულა, რაც მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება სპორტის ოსტატის ნორმატივს.

ᲥᲔᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲥᲐᲜᲔᲑᲘ

● **ლენინგრადი**, 2 აგვისტო. ადგილობრივი „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდმა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ინგლისის „დინამო“.

● **დელი**, 2 აგვისტო. დასასრულს უახლოვდება მსოფლიოს არაოფიციალური გუნდური პირველობის — დევისის თასის გათამაშება. გუშინ აქ დაიწყო ჩოგბურთელ ვაჟთა ამ საინტერესო შეჯიბრების ნახევარფინალური მატჩი ინდოეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს შორის. როგორც ცნობილია, გერმანელებმა მანამდე მწვავე ბრძოლაში სძლიეს სსრ კავშირის გუნდს — 3:2. წარმატება ახლაც გფურ-ის წარმომადგენლებმა იზეიმეს: უკვე ერთეულთა ორი შეხვედრისა და წყვილთა მატჩის შემდეგ ისინი ისე დაწინაურდნენ (3:0), რომ ერთეულთა დანარჩენი ორი შეხვედრა მასპინძლებს ვერც წარმატების შემთხვევაში იხსნის წაგებისგან. ამრიგად, გერმანელებმა გაინაღდეს ევროპული ზონის ფინალში თამაშის უფლება. აქ ისინი შეხვდებიან ესპანელებს, რომლებმაც სან-პაულუში მოუგეს ბრაზილიელებს.

● **სოხუმი**, 2 აგვისტო. აქ დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ გდრ-ის, რუმინეთისა და სსრ კავშირის გუნდები. მასპინძლები ორი გუნდით — ქვეყნის ნაკრებითა და სტუდენტთა ნაკრებით მონაწილეობენ. პირველ დღეს სტუდენტებმა დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს გდრ-ის წყალბურთელებს (5:4), ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა დიდი ანგარიშით (10:2) დაამარცხა რუმინელები.

● **ბუქარესტი**, 2 აგვისტო. აქ დამთავრდა სოციალისტური სახელმწიფოების დინამოელ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რინგის მასპინძლებმა. II ადგილზე არიან საბჭოთა მოკრივეები, III — პოლონელები.

● **ვარენდორფი**, 2 აგვისტო. გფრ-ის ამ ქალაქში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. პირველ დღეს სპორტსმენები საცხენოსნო სპორტში ასპარეზობდნენ. გუნდური გამარჯვება იზეიმეს უნგრეთის ხუთჭიდელებმა — 3055 ქულა. II ადგილზე გავიდნენ ინგლისელები — 2980, III — შვედები — 2960. წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ხუთჭიდელები, რომლებმაც 2765 ქულა დააგროვეს და VII ადგილზე იყვნენ. მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება ფარიკაობაში. აქ ყველას აჯობა ამერიკელმა რ. ბეკმა. საბჭოთა ხუთჭიდელმა ბ. ონიშჩენკომ 35 ბრძოლა მოიგო, 1000 ქულა დაიმსახურა და ორი სახეობის შემდეგ III ადგილზეა. წინაა ბეკი. გუნდურ ჩათვლაში ორი სახეობის შემდეგ კვლავ უნგრელები ლიდერობენ. II ადგილზე კადინაცვლეს შვედებმა.

● **ამსტერდამი**, 2 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონის ბ. სპასკისა და მომავალი საზონათშორისო ტურნირის მონაწილის ლ. პოლუგაევსკის გამარჯვებით დამთავრდა მოკადრაკე ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „იბმ“. ორივე საბჭოთა დიდოსტატმა 11,5-11,5 ქულა დააგროვა 15-დან. III ადგილზე გავიდა გდრ-ის წარმომადგენელი ვ. ულმანი — 10,5 ქულა. IV ადგილზეა ამ ტურნირის მესამე საბჭოთა მონაწილე ე. გელერი — 10. დასკვნით ტურში პოლუგაევსკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ კ. ლანგეველთან, სპასკიმ კი დაამარცხა უნგრელი ი. ჩომი.

● **ბუენოს-აირესი**, 2 აგვისტო. არგენტინის დედაქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საკადრაკო ტურნირში 8 ტურის შემდეგ ლიდერობს ამერიკელი დიდოსტატი რ. ფიშერი — 6,5 ქულა. II ადგილზეა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატი ვ. ტუმაკოვი — 6. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვ. სმისლოვს 4,5 ქულა აქვს.

● **ტალინი**, 2 აგვისტო. იპოდრომზე მოტორბოლაში დღეს აქ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში ხუთიდან 4 ოქროს მედალი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მოიხვეჭეს (შეჯიბრება საცხენოდრო-ტექნიკურ სახეობებში V საკავშირო სპარტაკიადის ფინალის პროგრამაშიც შედიოდა). ქვეყნის ჩემპიონი „125-ანების“ კლასში ზედიზედ მესამე წელია გახდა კამენსკურალსკელი ინჟინერი ვ. ჩუპინი, ხოლო „175-ანების“ კლასში საუკეთესო იყო ბლაგოვეშჩენსკელი ტაქსის მძღოლი ვ. პოდდუბნი. ქალთა შორის თავი გამოიჩინა მოსკოველმა სტუდენტმა რ. რიაჟსკაიამ, რომელმაც „175-ანით“ არა მარტო ოქროს მედალი მოიხვეჭა, არამედ ნახევარფინალში ვაჟებზე მეტი საშუალო სიხშირეც განაკითარა საათში. „350-ანების“ კლასში ქვეყნის ჩემპიონი პირველად გახდა ულიანოვსკელი ინჟინერ-ტექნოლოგი ლ. კროხინი, ხოლო ვერცხლის მედალსსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონს ი. დუდორინს (უფა) ხვდა.

● **ბერლინი**, 2 აგვისტო. გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა ამხანაგურ მატჩში 19 წლის ბ. პოლაკმა (გდრ) ხუთჭიდში 5241 ქულა მოაგროვა და იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა ამ სახეობის ისტორიაში.

დაგრუნდა და გაიმარჯვა

ლვოვსა და ალმა-ათაში დაიწყო სსრ კავშირის წლევანდელი პირველობა ცურვაში. ლვოვში მოზრდილები იბრძვიან ჩემპიონის ოქროს მედლისთვის, ალმა-ათაში კი მოზარდები ცდიან ძალას. ორივე ტურნირი ერთნაირი სისტემით ტარდება: ცურვის საკავშირო ფედერაციამ სტარტზე მხოლოდ ის სპორტსმენები დაუშვა, რომლებმაც თავიანთი რესპუბლიკების შეჯიბრებებში მოპოვებული შედეგებით ქვეყნის 16 საუკეთესოს შორის დაიმკვიდრეს ადგილი.

ლვოვში წინასწარ შეჯიბრებაში გოგონათა ორი ახალი საკავშირო რეკორდი დამყარდა. ნოვოსიბირსკელმა ტ. შოლოტნიცკაიამ 200 მ თავისუფალი სტილით 2 წუთსა და 16,9 წამში გაცურა, ხოლო მოსკოველმა ა. პეტროვამ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 5.24,9 აჩვენა.

საღამოს მოეწყო ფინალური ტურნირი, რომელმაც ოთხ სახეობაში გამოავლინა პრიზიორები. წელიწადნახევრის შესვენების შემდეგ ცისფერ ბილიკებს დაუბრუნდა ოლიმპიური ჩემპიონი გ. პროზუმენშჩიკოვა-სტეპანოვა. მან აქ 100 მეტრზე ბრასით ცურვაში სცადა ძალა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა — 1.17,0. ვერცხლი მის თანაგუნდელს ა. გრებენიკოვას (მოსკოვი) ხვდა — 1.17,2. ბრინჯაოს დაეპატრონა ვილნიუსელი ვ. ბურკაუსკაიტე — 1.17,8.

ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე ამავე სტილით ასპარეზობა მოიგო სმოლენსკელმა ვ. მორჩუკოვმა (1.07,9), რომელსაც მოსკოველი ნ. პანკინი 0,2 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა კრასნოდარელი ბ. ბონდარჩუკი — 1.08,2. ვეტერანი გ. პროკოპენკო IV ადგილს დასჯერდა.

100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ვაჟთა შორის ქვეყნის ჩემპიონი გახდა ვ. ნემშილოვი (სოჭი) — 58,3. მან 0,4 წამით აჯობა ვ. შარიგინს (მოსკოვი) და 0,5 წამით გაუსწრო გ. კულიკოვს (ხაბაროვსკი) — 58,8. ქალთა შეჯიბრებაში დისტანცია ყველაზე სწრაფად დაფარა მასპინძელმა ვ. ვასკევიჩმა — 1.07,7, II ადგილზეა ვ. ტუტაევა (მოსკოვი) — 1.08,5, III — ტ. კოსტიცინა (სარკოვი) — 1.09,5.

1970 ფეხბურთი

ᲥᲐᲢᲩᲘᲜᲘ, ᲑᲝᲚᲘᲜᲘ, ᲧᲘᲢᲝᲠᲘᲜᲘ

2 აგვისტოს მინსკში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს „ჩერნომორეცი“.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. ბურთები გაიტანეს ხახაროვმა და ვასილიევმა.

ᲓᲣᲔᲚᲘᲜ...

თბილისის „დინამომ“ შინ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ნევთჩი“. ეს ერთადერთი ბურთი მატჩის მიწურულს გაიტანა ხურცილავამ.

ერევანში „არარატმა“ მოუგო ქუთაისის „ტორპედოს“ —2:1.

კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და მოსკოვის დინამოელები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

მოსკოვში დიდი ინტერესი გამოიწვია ცსკა-სა და ადგილობრივი „სპარტაკის“ თამაშმა. მე-40 წუთზე ანგარიში გახსნა არმიელმა ფედოტოვმა, მაგრამ შესვენების შემდეგ სპარტაკელებმა (ოსიანინი, პროსკურინი) ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და გაიმარჯვეს — 2:1.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ზარია“ — ანჯ (დონის როსტოვი) 2:2, „ფახთაქორი“ — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0.

უმაღლესი ჯგუფი „ა“ ლიგა

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

როგორც აუტსაიდერებს შეეფერებათ...

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 1 აგვისტო.

„ლოკომოტივი“ (თბილისი)— „სტროიტელი“ (აშხაბადი) 0:0.

„ლოკომოტივი“: ბერიძე (აკობია), შხვაცაბაია (ფრიდმანი), პანოვი, გოგიჭანაშვილი, ფილია, ბახტაძე, ჭორბენაძე, მაზიაშვილი, ყიფიანი, ხუციშვილი, საფაროვი (ჭელიძე).

„სტროიტელი“: პოკატილოვი, გელდიევი, პოლშკოვი, ხოჭაბერდიევი, სეროვი, მენდელაევი, ურაზსახატოვი, ფომინი, ყარაზახოვი, პოპოვი (ლიტვეკინი), არუთინოვი (პელგიაკოვი).

მსაჯი ნ. შუმუნოვი (მოსკოვი).

მეორე წრის დაწყება თბილისის „ლოკომოტივს“ თავის სტადიონზე მოუწია ისეთივე აუტსაიდერთან, როგორიც თვითონაა: თბილისელები მე-20 ადგილზე არიან, აშხაბადელები კი ბოლო, 22-ე ადგილზე.

ამდენად, ეს იყო ნამდვილ აუტსაიდერთა მატჩი და თამაშმაც ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც ეს აუტსაიდერებს შეეფერებათ — ყოვლად უსისტემოდ, დუნედ, დაბალ სპორტულ დონეზე.

ლოკომოტიველებს ბოლო 4 შეხვედრა ზედიზედ წაგებული ჰქონდათ ისე, რომ ვერც ერთი ბურთის გატანა ვერ შეძლეს მეტოქეთა კარში, 0—6, ასეთი იყო მათი ბალანსი.

სად და ვისთან აპირებენ თბილისელები გამარჯვებას, თუ არა გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფ გუნდთან? და ისიც საკუთარ მინდორზე! პირველ წრეში სტუმრად მათ ერთადერთი მატჩი აქვთ მოგებული სწორედ ამ „სტროიტელთან“, აშხაბადში.

მაგრამ „ლოკომოტივმა“ ამ ამოცანის შესრულებაც კი ვერ შეძლო და ისე სუსტად ითამაშა აშხაბადელებთან, რომ, თუ სიმართლეს ვიტყვით, გამარჯვებასთან უფრო ახლოს სტუმრები იდგნენ, რომლებსაც მატჩის დასასრულს კარის აღების რამდენიმე შესაძლებლობა შეექმნათ. მათ, უბრალოდ, გამბედაობა არ ეყოთ გაეძლიერებინათ შეტევა და დაეძლიათ თბილისელთა დაცვის ჭაოტური, მოუწესრიგებელი წინააღმდეგობა.

თბილისის „ლოკომოტივის“ წლევანდელი თამაში ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. ეტყობა, კოლექტივში რადიკალური ცვლილებები უნდა მოხდეს. საჭიროა მისი შეესება ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებით.

რ. ᲙᲝᲠᲘᲫᲔ.

I ᲯᲒᲣᲤᲘ „ᲐᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲘ

II ᲯᲒᲣᲤᲘ

II ზონა

1 აგვისტოს გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონის კოლექტივების მატჩები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს — ბათუმის „დინამოსა“ და გორის „ლილას“ გასვლითი მატჩები ჰქონდათ და ორივე დამარცხდა: ბათუმელებმა მახაჩყალაში წააგეს იქაური „დინამოსთან“ — 0:2, ხოლო გორელებმა კიროვაბადში, დინამოელებთან — 1:4.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ფოლადი“ (სუმგაითი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:1, „სტალი“ (ვოლგოგრადი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 1:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „სალუტი“ (ბელგოროდი) 2:2, „ტორპედო“ (ტაგანროგი)— „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:1, „ლოკომოტივი“ (კალუგა) — „ვოლგა“ (კალინინი) 0:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „სატურნი“ (რიბინსკი) 1:1, „მეტალურგი“ (ტულა) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 1:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი)— „ვოლგა“ (გორკი) 0:0, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 2:0.

ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲡᲠᲝᲓᲜᲔᲚ

ტყვიის მსროლელები ვორონეჟში ასპარეზობდნენ. „ლელოს“ მკითხველებმა ტურნირის ზოგიერთი შედეგი უკვე იციან, მაგრამ სურათი უფრო ნათელი რომ იყოს, საქართველოს სპორტსმენთა სხვა წარმატებებიც უნდა გაგაცნოთ.

უმაღლესი სასწავლებლების სპორტაკუბების შეჯიბრებაში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა საბოლოოდ II ადგილი დაისაკუთრა, — მხოლოდ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ძლიერ კოლექტივს ჩამორჩა. სამაგიეროდ, პოლიტექნიკოსებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს ნაკრების საერთო ყულაბაში. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები მხოლოდ რსფსრ-სა და მოსკოვის გუნდებს ჩამორჩა.

რაც შეეხება „ბურევესტნიკის“ საბჭოების შეჯიბრებას, აქ საქართველოს გუნდმა უკრაინის ნაკრებთან III ადგილი 3 ქულით წააგო, სამაგიეროდ, 68 ქულა მოუგო V ადგილზე გასულ სომხეთის გუნდს, რომელიც თავდაპირველად ლიდერობდა. ჩვენმა ტყვიის მსროლელებმა უნივერსიადაში რესპუბლიკის საერთო ყულაბაში 330 ქულა შეიტანეს. ასეთი წარმატებით ამ სახეობაში ჩვენს გუნდს არასოდეს უსაპარეზია.

კოლექტივებს ჩათვლას ის სპორტსმენები აძლევდნენ, რომლებიც I-VIII ადგილებს დაიკავებდნენ, თანაც, სულ ცოტა, პირველი თანრიგის ნორმატივს აჩვენებდნენ.

ქალთა პირად ტურნირში პირველთანრიგოსანმა ლ. შარაშენიძემ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში 563 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ერევნელ სპორტის ოსტატთან ზ. ზოლოტნიკოვასთან წააგო.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს ვაჟებმა ჩემპიონობა მოიპოვეს, ხოლო სტანდარტზე (3×40) და პნევმატური შაშხანით შეჯიბრებაში II ადგილები დაიკავეს (ორივეჯერ უკრაინის სპორტსმენებს ჩამორჩნენ). სპორტის ოსტატებმა მ. ყამურაშვილმა, ა. დიმიტროვმა, ოსტატობის კანდიდატმა ლ. ქაჯაიამ და პირველთანრიგოსანმა გ. კეჩხუაშვილმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან 60 გასროლაში ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

გუნდურ ჩათვლაში გოგონებმა 3 საპრიზო ადგილები დაიკავეს: მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში, მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან 30 გასროლაში და 25 მეტრიდან სილუეტებზე სწრაფსროლაში (სამივე ვარჯიშში პირველობა რსფსრ-ს სპორტსმენებს ხვდათ).

გაგაცნობთ იმ სხვა სახეობათა ტექნიკურ შედეგებს, რომლებშიც საქართველოს ტყვიის მსროლელებმა ჩათვლა მიიღეს.

შავ სამიზნეებზე პისტოლეტით 30 გასროლა მოიგო ზოლოტნიკოვამ — 273 ქულა, შარაშენიძემ 264 ქულით IV ადგილი დაიკავა. პისტოლეტით ხუთ სილუეტზე 60 გასროლაში მეოთხე იყო მ. დვინერია — 565 ქულა, ჩემპიონმა ლ. ხიმჩეკოვ (რსფსრ) მას მხოლოდ 3 ქულით აჯობა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ხუთ სილუეტზე მსროლელი ვაჟების შეჯიბრებაში ნ. სკრებეცმა (რსფსრ) 585 ქულა მოაგროვა- და I ადგილი დაიკავა, მ. ყამურაშვილმა კი 580 ქულა მიიღო, რამაც IV ადგილი მოუტანა. ყამურაშვილმა იმავე იარაღით შავ სამიზნეებზე სროლაში ჩემპიონთან — სკრებეცთან (555 ქულა) 9 ქულა წაგო და VI ადგილს დასჯერდა.

საქართველოს სტუდენტი ტყვიის მსროლელები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადებას გაორკეცებული ენერგიით შეუდგებიან, რათა მოსკოვშიც ასეთივე წარმატებით იასპარეზონ.

თ. ᲚᲔᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სპორტის ოსტატი.

ᲭᲐᲑᲣᲙ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲙᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა გამარჯვებები საკავშირო მასშტაბის სხვადასხვა შეჯიბრებაში დიდი ხანია სასიამოვნო ტრადიციად იქცა და ახლაც, როცა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან მოდის ცნობები რესპუბლიკის ნორჩ ფეხბურთელთა გამარჯვებებზე, ეს არავის უკვირს.

აი, ახლაც ჩატარდა საკავშირო მნიშვნელობის რამდენიმე შეჯიბრება, სადაც ჩვენმა გუნდებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა, ვისაც მოზარდი თაობის აღზრდისა და ჩვენი ოსტატთა გუნდებისთვის შემცვლელი რეზერვების აღზრდის საქმე ეხება, უპირველეს ამოცანად არ სახავს ამ შეჯიბრებებში I ადგილებისა და თასების მოპოვებას. პირიქით, უწინაც და ახლაც სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ახალგაზრდა ოსტატთა აღზრდა. ჩვენს რესპუბლიკას ამჟამად მრავალად ჰყავს გუნდები „ა“ და „ბ“ კლასებში და მათთვის საჭიროა დიდი რაოდენობით მომზადდეს კვალიფიციური, მაღალხარისხოვანი ცვლა. გუნდის გამარჯვება, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ, როცა სადმე გამოჩნდება ნიჭიერი, მზარდი ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია ადგილი დაიკავოს ოსტატთა გუნდში, ეს კიდევ უფრო სასიხარულოა და საჭიროც.

სულ ახლახან გაზეთებში გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის თაობაზე, რომ თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის (ყოფილი 35-ე სკოლა) გუნდმა, რომელსაც წვრთნიან რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები თ. კუბლაშვილი და გ. მამალაძე, გაიმარჯვა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრების (1952-53 წ.წ. დაბადებულნი) ნახევარფინალში და მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან მოსკოვისა და კიევის დინამოელები, ტაშკენტის „ფახთაკორი“, ერევნის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა და კალინინგრადის „ბალტიკა“. გამარჯვებული მიიღებს ჩვენი ქვეყნის მოზარდთა უძლიერესი გუნდის წოდებას.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (1954-55 წ.წ. დაბადებულნი), რომელსაც ავარჯიშებენ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. ვარდიაშვილი და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კ. ყრუაშვილი, ფინალში გავიდა და რსფსრ-ს, უკრაინის, ყირგიზეთის, სომხეთისა და მოსკოვის გუნდებთან ერთად იასპარეზებს „სიჭაბუკის“ თასის ფინალში.

სულ ახლახან უკრაინის ქალაქ შეპეტოვკიდან (ხმელნიცკის ოლქი) მივიღეთ სასიხარულო ცნობა, რომ საქართველოს მოზარდთა ნაკრებმა (1952-53 წ.წ. დაბადებულნი) სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ელოშვილისა და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის რ. მახარაძის ხელმძღვანელობით მოიპოვა „იმედის“ თასის ფინალში თამაშის უფლება. ჩვენი ჭაბუკები ამ პრიზისთვის ნოემბერში იბრძოლებენ სევასტოპოლის სტადიონებზე.

ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება შევატყობინოთ, რომ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა (1955-56 წ.წ. დაბადებულნი, მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. სიხარულიძე) გაიმარჯვა რიგის ტურნირში, რომელშიც ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოვის, ბელორუსიისა და ლატვიის ნაკრები კოლექტივები. მიღებულია დადგენილება, რომ ეს ტურნირი ამიერიდან ტრადიციად იქცეს.

ამ შეჯიბრებებში გამოვლინდნენ ნორჩი პერსპექტიული ფეხბურთელები. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ ზ. კახაძე, ბ. ფარულავა და ზ. გაგუა („იმედის“ გუნდიდან). რიგის „ოთხთა ტურნირში“ თავი ისახელეს ო. ძიაპშიპამ, გ. ლომაიამ, ს. კოსაევმა, გ. კრავჩენკომ და გ. გაბიჩვაძემ. კარგ მომავალს გვპირდებიან „იმედის“ გუნდის წევრები მ. გაგოშიძე და ვ. გუციევი. განათლების განყოფილების გუნდში გამოირჩევა დ. სართანია. გვარების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა და, სათანადო გულმოდგინებისა და წვრთნისადმი საქმიანი დამოკიდებულების გამოჩენისას მათი რიცხვიდან მაღალი კლასის ოსტატები უნდა მივიღოთ.

მაგრამ ზემოჩამოთვლილ წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებანიც. მათგან უმთავრესია ის, რომ ჭაბუკთა ფეხბურთიდან ჯერ კიდევ ვერ ვღებულობთ იმ ხარისხისა და რაოდენობის ფეხბურთელებს, რაც დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. წლების მანძილზე გადაუჭრელი იყო იმ ახალგაზრდა ფეხბურთელთა საკითხი, რომლებიც ამთავრებენ სპეციალიზებულ სკოლას, მაგრამ ოსტატთა გუნდებში ვერ ხვდებიან და ამის გამო გვეცლებიან ხელიდან. ეს მაშინ, როცა ცნობილია, რომ ბევრი ნორჩი ფეხბურთელის ინდივიდუალური მონაცემები იფურჩქნება მოგვიანებით, მაშინ, როცა იგი უკვე აღარაა სპეციალიზებულ სკოლაში.

მისასალმებელია ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილება იმის თაობაზე, რომ თბილისში, ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლასთან ჩამოყალიბდეს 17-22 წლის ფეხბურთელთა ჯგუფი 25 კაცის შემადგენლობით, სადაც გაერთიანდებიან საქართველოს ქალაქებისა და რაიონების ნიჭიერი ფეხბურთელები. ეს სწორედ ის საფეხური იქნება ბავშვთა ფეხბურთიდან მოზრდილებისკენ, რომელიც ჩვენ ასე გვჭირდება.

ნ. ᲐᲛᲘᲠᲐᲯᲘᲑᲘ,
ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მწვრთნელი ბავშვთა და მოზარდთა შორის.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲐᲛᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ულან-უდე, 1 აგვისტო. აგის კოლმეურნეობა „პობედას“ ვეტერანმა მშვილდოსანმა დ. დანსარანოვმა რსფსრ-ს ჩემპიონობა მოიპოვა სოფლის სპორტსმენთა შორის. მან 2191 ქულა მოაგროვა და მეგრად გადააჭარბა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივს. ქალთა შორის ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა ასევე აგის წარმომადგენელმა (ჩიტის ოლქი), ბუღალტერმა ლ. ბადმაჟაპოვამ — 1817 ქულა. ეს წარმატება მოწმობს, რომ რუსეთში გაჩნდა ახალი ცენტრი, სადაც 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის პრეტენდენტები ცხოვრობენ.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს ისევ ამ კუთხის მშვილდოსნებმა. II ადგილზეა ბურიატეთის ნაკრები, III — იაკუტეთის გუნდი.

ბურიატთა ასსრ-ს დედაქალაქი შემთხვევით არ აურჩევიათ რუსეთის სოფლის სპორტსმენთა პირად-გუნდური პირველობის ასპარეზად. აქ უძველესი დროიდან ატარებენ და უყვართ ნაცად მშვილდოსანთა შეჯიბრებები. ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულს „სურ-ხარბაანი“ ჰქვია, რაც მშვილდოსანთა შეჯიბრებას ნიშნავს. ტურნირები სულ უფრო ხშირად ტარდება საერთაშორისო წესებით. ბურიატმა სნაიპერებმა დიდი წარმატებები მოიპოვეს და მთელს საბჭოთა კავშირში გაითქვეს სახელი. რუსეთის ნაკრები გუნდი ძირითადად ბურიატი მშვილდოსნებითაა დაკომპლექტებული.

„ᲣᲛᲝᲢᲝᲙᲠᲝᲡᲚᲝᲓ ᲓᲐᲕᲘᲚᲣᲞᲔᲑᲘᲗ!“

მოტოკროსის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს ბელგოროდში დაესწრო 120 ათასი კაცი, — ეს სარეკორდო ციფრი იყო. მსურველებს ბილეთები არ ეყოთ და ავტო-მოტოლატარიის ბილეთები გამოიყენეს. არც ამან იკმარა. მაყურებელთა ნაკადს ბოლო არ უჩანდა.

შეჯიბრების სანახავად ბევრი ავტობუსებით, მსუბუქი მანქანებითა და მოტოციკლებით ჩამოვიდა ხარკოვიდან, კურსკიდან, ორიოლიდან, ვორონეჟიდან და სხვა ქალაქებიდან. ბელგოროდში მანქანებისთვის ფასიანი სადგომები მოაწყვეს და ერთ დღეში შეასრულეს... რამდენიმე წლის გეგმა.

„ახლა გეგმას ძალიან გაგვიზრდიან, — შეშფოთდნენ ქალაქის საბჭოს წარმომადგენლები, — თუ მოტოკროსი გაისადაც ჩვენთან არ ჩატარდა, დავილუპეთ!“

Გ. ᲓᲕᲝᲠᲪᲝᲕᲘ.

სპორტული აგვისტო

ზაფხულის ბოლო თვე სპორტისმოყვარულთ ბევრ საინტერესო შეჯიბრებას ჰპირდება. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

აკადემიური ნიჩბოსნობა

7-9. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი (მოსკოვი).
14-16. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი (მოსკოვი).
21-23. ქალთა ევროპული ჩემპიონატი (უნგრეთი).
21-23. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო ჩემპიონატი (დნეპროპეტროვსკი).
27-29. იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატი (დნეპროპეტროვსკი).

აერობატიკა

21-23. ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი (კიშინიოვი).

აფრობოლობა

4-8. იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი „ფინის“ კლასში (ჩეხოსლოვაკია).
6-15. მსოფლიო ჩემპიონატი „ვარსკვლავის“ კლასში (შვეიცარია).
14-22. მსოფლიო ჩემპიონატი „ფინის“ კლასში (პორტუგალია).
15-24. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო ჩემპიონატი (ნიკოპოლი).
29.VIII-7.IX. სსრ კავშირის ჩემპიონატი (რიგა).

ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა

8-12. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (კიევი).
21-23. საკავშირო რეგატა (დაუგავპილსი).
22-23. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (გდრ).

ბალახის ჰოკეი

18-24. იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება (ზვენიგოროდი).
21-31. გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება.

ველოსპორტი

6-12. მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე (დიდი ბრიტანეთი).
13-15. მსოფლიო ჩემპიონატი (გზატკეცილი, დიდი ბრიტანეთი).
20-24. სსრ კავშირის ჩემპიონატი ტრეკზე (ტულა).
24-30. იუნიორთა მრავალდღიანი საგზატკეცილო გუნდური რბოლა (რიგა).

თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა

14-16. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (უნგრეთი).
18-23. ჭაბუკთა ევროპული ჩემპიონატი (შვეიცია).

თანამედროვე ხუთჭიდი

4-5. მსოფლიო ჩემპიონატი (გფრ).
8-12. იუნიორთა საკავშირო ჩემპიონატი (კალინინგრადი).
15-20. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (პოლონეთი).

კალათბურთი

6-15. ჭაბუკთა ევროპული ჩემპიონატი (საბერძნეთი).
10-14. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება (ტალინი).
16-18. სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ს ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

კრიკეტი

4-10. საერთაშორისო შეჯიბრება (გდრ).

მაგიდის ჩოგბურთი

4-9. ჭაბუკთა ევროპული ჩემპიონატი (დიდი ბრიტანეთი).

მუშტიდრეკობა

27-28. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო ჩემპიონატი (მინსკი).

მძლეოსნობა

4-6. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი (ვოლგოგრადი).
7-9. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (რუმინეთი).
20-22. სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების შეჯიბრება ხუთჭიდსა და ათჭიდში (ოდესა).
29-30. ევროპის თასი. ფინალი: ვაჟები (შვეიცია), ქალები (უნგრეთი).

სამოტოციკლო სპორტი

9. მსოფლიო ჩემპიონატი კროსში „250-ანების“ კლასში (ფიხეთი).

სასტენდო სროლა

26-30. საერთაშორისო შეჯიბრება — „ლაიპციგის დიდი პრიზი“ (გდრ).

საცხენოსნო სპორტი

4-9. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მოსკოვი).
6-10. ჭაბუკთა ევროპული ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში (შვეიცარია).
14-16. ჭაბუკთა ევროპული ჩემპიონატი სამჭიდში (დანია).

ტანვარჯიში

11-14. სსრ კავშირის თასი და ჩემპიონატი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში (მოსკოვი).

ტენისის სროლა

6-16. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ოდესა).
14-17. იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი (გფრ).

ფარიკაობა

9-16. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ზაპოროჟიე).

ფეხბურთი

13. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი — „სიჭაბუკის“ თასი (ფინალი, შახტი).
20-30. ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრება. მონაწილეობს „ბურეველსტნიკის“ გუნდი (იტალია).

ფრანგბურთი

12-23. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“: ჭაბუკები (ვოროშილოვგრადი), გოგონები (ვორონეჟი).

შაში

10-19. ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალები რუსულ შაშში (ლიპეცკი, მოგილიოვი).
17-28. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალები რუსულ შაშში (ბელეცი, ტოროპეცი).

ჩოგბურთი

5-10. ევროპის ჩემპიონატი (ბულგარეთი).
9-16. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).
24.VIII-13.IX. საერთაშორისო შეჯიბრება და აშშ-ს ღია ჩემპიონატი (აშშ).

ცურვა

4-6. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ლვოვი); ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი (ალმა-ათა).
20-22. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (პოლონეთი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალოსნობა

5-7. საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიის თასი“ (ნორვეგია).
20-23. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (გდრ).

წყალბურთი

4-6. საერთაშორისო შეჯიბრება (სოხუმი).
4-10. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (ბულგარეთი).

წყალსათხილამურო სპორტი

5-9. სსრ კავშირის ჩემპიონატი (დუბნა, მოსკოვის ოლქი).

წყალში ხტომა

4-8. სსრ კავშირისა და გდრ-ის ჭაბუკთა გუნდების შეჯიბრება (ლვოვი).
20-22. საერთაშორისო შეჯიბრება — „მეგობრობა“ (პოლონეთი).

ჭადრაკი

4-21. სსრ კავშირის თასი: ვაჟები (დნეპროპეტროვსკი), ქალები (კალინინგრადი).

ხელბურთი

8-16. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ვაჟები. „ა“ კლასის I ჯგუფი. მესამე წრე (კრასნოდარი).
28-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ქალები. მესამე წრე. I ტური (ივანოფრანკოვსკი, მინსკი).

ჰოკეი

21-27. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე საერთაშორისო შეჯიბრება საკლუბო გუნდებს შორის (მოსკოვი, ლენინგრადი, სარატოვი, მინსკი).

უნივერსიადა

26.VIII-6.IX. სტუდენტთა მსოფლიო საზაფხულო სპორტული თამაშები (იტალია).



ზღუდე დაძლეულია

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ჯ. ფხაკაძე წლეულს თითქმის ყოველ შეჯიბრებაში აუმჯობესებს რესპუბლიკურ რეკორდებს უროს ტყორცნაში. ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის“ პრიზის გათამაშებისას მან 59,98 მ აჩვენა და, სულ რაღაც 2 სმ არ ეყო 60 მეტრამდე.

მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა. და აი, ახლა, მოსკოვში, იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებაში, საქართველოს სპორტსმენთა შორის ფხაკაძემ პირველმა გადალახა 60-მეტრიანი ზღვარი — 61,88 მეტრზე ტყორცნა ურო და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ამ ასპარეზობაში მას მხოლოდ ა. სპირიდონოვმა („ტრუდი“ — 62,84) და ვ. კოროლიოვმა („შრომითი რეზერვები“ — 62,30) აჯობეს.

* * *

სურათზე: ჯ. ფხაკაძე უროს ტყორცნისას.

ო. გელაშვილის ფოტო.

საზონათშორისოს მოლოდინში

5. გაფრინდაშვილს 1972 წელს მოუწევს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა. მანამდე, 1971 წელს, შედგება პრეტენდენტთა მატჩები ოთხ მოჭადრაკეს შორის, რომელთაგან დღეისთვის ცნობილია მხოლოდ ა. კუშნირი. სხვა სამი პრეტენდენტი უნდა დაასახელოს საზონათშორისო ტურნირმა, რომელიც წლეულს, სექტემბერ-ოქტომბერში ჰოლანდიაში ჩატარდება.

ვინ ითამაშებს ამ ტურნირში? ფიდე-მ მსოფლიო ექვს ზონად დაყო. ამ ზონებში გამარჯვებული მოჭადრაკეები ჰოლანდიაში მოიყრიან თავს. ცნობილი არიან მხოლოდ 4 ზონალური ტურნირის (სსრ კავშირის, აშშ-ს, მეროპის I და II ზონების) პრიზიორები. აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ზონალური ტურნირები, როგორც ჩანს, ჯერ არ ჩატარებულა.

საზონათშორისო ტურნირში ითამაშებენ: ნ. ალექსანდრია, ე. რუბცოვა, ნ. კონთპლიოვა, ვ. კოზლოვსკაია, ტ. ზატულოვსკაია (ყველა — სსრ კავშირი), ფ. კარფი, გ. გრესერი (ორივე — აშშ), მ. ლაზარევიჩი, ტ. ბელამარიჩი (ორივე — იუგოსლავია), მ. ბაუმშტარკი, ე. პოლიქრონიადე (ორივე — რუმინეთი) და მ. ივანკა (უნგრეთი).

როგორც ხედავთ, შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია. რა შანსები აქვთ მეტოქეებს?

მასსენდება ნ. გაფრინდაშვილის პრეს-კონფერენცია მოსკოვში ა. კუშნირთან მატჩის შემდეგ. შეკითხვაზე, ვინ მიაჩნია პრეტენდენტობის მომავალ კანდიდატად, ნონამ უპასუხა: „ის, ვინც პრეტენდენტთა მატჩებში გაიმარჯვებს“. მერე ჰკითხეს: ხომ არ იქნება ეს კანდიდატი რომელიმე ახალგაზრდა მოჭადრაკეო? „თუ იქნება, მხოლოდ საბჭოთა ჭადრაკის წარმომადგენელი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ საზღვარგარეთ ახლა არ არიან ძლიერი ახალგაზრდა ოსტატები. ჩვენში ყველაზე მზარდია ნანა ალექსანდრია. 20 წლის ასაკში ორჯერ გახდე სსრ კავშირის ჩემპიონი, ცოტას როდი ნიშნავს.“

ამ ინტერვიუს მერე ნანამ მესამედაც მოიპოვა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი, რითაც საჭადრაკო საზოგადოებრიობა კიდევ უფრო დააჯერა თავის ნიჭსა და შესაძლებლობაში.

ნანას თამაში მუდამ გვაღელვებს, და, რა დასამალია, დაგვაფიქრა მისმა წარუმატებლობამ ქალთა VI საერთაშორისო ტურნირში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს, უბრალოდ, უსიამოვნო შემთხვევაა, რისგანაც არავინაა დაზღვეული. რა თქმა უნდა, ამ ეფერულმა შედეგმა მიმომხილველებს სიფრთხილე შემატა, მაგრამ ქართველი ოსტატი მაინც ერთ-ერთ პირველ ფავორიტად რჩება.

პრეტენდენტობის რეალური შანსი სხვა საბჭოთა მოჭადრაკეებსაც აქვთ. მაგალითად, კონთპლიოვამ მოსკოვის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. იგი ძლიერად თამაშობს, მაგრამ ზედმეტად განიცდის ბრძოლის მსვლელობას და შესაძლოა გადამწყვეტ მომენტში ნერვებმა უმტყუნოს.

რუბცოვა უფრო ძლიერი ჩანს. მან კარგად ითამაშა თბილისი—გორის საერთაშორისო ტურნირში. მოსკოველი ოსტატი მსუბუქად, შემტევ სტილში იბრძვის, მაგრამ ზოგჯერ ზერელედ აფასებს პოზიციას, ზოგჯერ კი ისე უტევს რომ უკან დასახევ გზებს არ იტოვებს.

ძლიერი ნებისყოფის მოჭადრაკეა ვ. კოზლოვსკაია. ამ ორიოდე დღის წინ მან უნგრეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

ნებისყოფა არც ტ. ზატულოვსკაიას აკლია. ამას წინათ მანაც იმარჯვა საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ ორივე მოჭადრაკეს უჭირს ბრძოლა კრიტიკულ სიტუაციაში, როცა ნერვები ჩონგურის სიმებივითაა დაჭიმული.

უცხოელი მოჭადრაკეებიდან ზღაპრული სისწრაფით იზრდებიან უნგრელი ივანკა, რუმინელი ბაუმშტარკი და იუგოსლავიელი ბელამარიჩი. მაგრამ მათ, როგორც ნონა ამბობს, თამაშის კლასი დაბალი აქვთ, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ჰოლანდიაში სერიოზული მეტოქეობა გაუწიონ მთავარ ფავორიტებს.

შეუპოვარი მებრძოლები არიან გამოცდილი მოჭადრაკეები — იუგოსლავიელი ლაზარევიჩი, რუმინელი პოლიქრონიადე და პოლონელი რაძიკოვსკა. თავის დროზე ლაზარევიჩი მსოფლიო პირველობის მთავარ პრეტენდენტად იყო აღიარებული, მაგრამ ყოველთვის ნერვებმა უმტყუნა გადამწყვეტი ბრძოლის ეტაპზე. ლაზარევიჩი ვერც ახლა იოკებს ნერვებს. პოლიქრონიადეს ძალა არ ჰყოფნის. მას უთამაშია პრეტენდენტთა ტურნირში, მაგრამ პრიზიორი არასოდეს ყოფილა. საოცრად მაგვირვებს რაძიკოვსკა. იგი — პოლონეთის ჩემპიონი და ზონალური ტურნირის I ადგილის მფლობელი — ძალიან უხერხოდ თამაშობს საქართველოს ქალთა საერთაშორისო ტურნირებში. ორ შეჯიბრებაში იგი ხატურნირო ცხრილის მეორე ნახევარს ვერ გასცილდა. ამიტომ რაძიკოვსკა საზონათშორისო ტურნირის ფავორიტად არ მიმაჩნია, თუმცა ცალკეულ შეხვედრებში, იგი, რა თქმა უნდა, საშიში მეტოქე იქნება.

ამერიკელი ოსტატები კარფი და გრესერი ახლა 50 წელზე მეტი ხნისა არიან, თუმცა, ადრეც არასოდეს ბრწყინავდნენ. მათი ძალა მხოლოდ ცალკეულ პარტიებში თუ გამოჩნდება. გაიხსენეთ პრეტენდენტთა 1964 წლის ტურნირი სოხუმში: გრესერმა ლაზარევიჩს გადამწყვეტი პარტია მოუგო და პრეტენდენტობა დაკარგვინა.

საზონათშორისო ტურნირი შორს არ არის. მოჭადრაკეები ემზადებიან. ემზადება ნანაც. ილისი მან ბორჯომის ხეობაში გაატარა. კარგად დაისვენა, აგვისტოში კი თავის მწვრთნელთან ბ. გურგენიძესთან ერთად შეუდგა ტურნირისთვის სპეციალურ მზადებას. მეცადინეობასა და დასვენებას ნანა სექტემბერში მოსკოვის მახლობელ აგარაკზე გააგრძელებს. იმედია, რომ სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი კიდევ ერთხელ გაახარებს თავის ქომაგებს.

თ. გიორგაძე.



◆ **ტოკიო**, 3 აგვისტო. სხვადასხვა ქვეყნის 300-ზე მეტი სპორტსმენი იასპარეზებს ეგრეთ წოდებულ წინაოლიმპიურ თამაშებში, რომელიც გაისად, 7-14 თებერვალს გაიმართება საპოროში, სადაც 1972 წლის XI თეთრი ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს. სტუმრებთან ერთად სტარტებზე გამოვლენ იაპონელი მოთხილამურეები, ფიგურული ციგურაობის ოსტატები, მოციგურავეები, ჰოკეისტები, ბობსლეისტები, ბიათლონისტები და მემარხილეები.

◆ **მოსკოვი**, 3 აგვისტო. სულ მალე ლესტერში (ინგლისი) სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი საველოსიპედო სპორტში (გზატკეცილი და ტრეკი). ტრეკზე საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას დაიცავენ გ. ცარიოვა (ლენინგრადი), გ. ერმოლაევა (მოსკოვი), ვ. სავინა-ლაპშინა (ტულა), ო. ფხაკაძე (თბილისი), ა. პოლეტაევი (მოსკოვი), რ. ობოდოვსკაია (ხარკოვი), თ. გარკუშინა (ტულა), ს. კრავცოვი (ხარკოვი), ვ. ნაზარენკო (მინსკი) და სხვ. გზატკეცილზე რბოლების სტარტებს აიღებენ ვ. იარდი (ჩეხოსლოვაკია), ვ. სოკოლოვი (ომსკი), ნ. დმიტრუკი (მოსკოვი), ვ. მიხაილოვი (ომსკი), ბ. ცაუნე (რიგა), ა. კონკინა (ლენინგრადი) და სხვ.

ფილატელისტთა საყურადღებოდ

1971 წლის ივლის-აგვისტოში მოსკოვში ტარდება საკავშირო ფილატელისტური გამოფენა, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადას ეძღვნება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს რესპუბლიკური ფილატელისტური გამოფენა სპორტულ თემატიკაზე. ღონისძიება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიეძღვნება.

გამოფენა მოეწყობა თბილისში, მხატვართა კლუბში, 15 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე.

საუკეთესო ფილატელისტისთვის, რომელიც ყველაზე სრულად და ყოველმხრივად წარმოადგენს გამოფენაზე სპორტულ თემატიკას, დაწესდა სპეციალური პრიზი (25 მანეთის ღირებულებისა), სხვა ჯილდოები და კომიტეტის საპატიო სიგელი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



5 აგვისტოს
სსრ კავშირის პირველობა
I ჯგუფი
„ა“ კლასი

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კამირი“ (დუშანბე)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.